

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს  
უფროსს ბატონ ვასილ გედევანიშვილს

ბატონო ვასილ,

გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით, წარმოგიდგინებ მესტიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდ. მულხურაზე დაგეგმილი 40.2 მგვტ დადგმული სიმძლავრის, მდინარის ბუნებრივ ჩამონადენზე მომუშავე, დერივაციული ტიპის „მულხურა ჰესი“-ს მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშს.

„მულხურა ჰესი“-ს მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტზე სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსის 2023 წლის 23 აგვისტოს N 429/ს ბრძანებით, გაცემულია N22 სკოპინგის დასკვნა. გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში მომზადებულია N22 სკოპინგის დასკვნის და საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“-ს მე-10 მუხლის მოთხოვნების შესაბამისად.

წერილს თან ერთვის:

- გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი ქვითრის ასლი;
- ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან შპს „აი ჯი ენერჯი“-ს რეგისტრაციის თაობაზე;
- მესტიის მუნიციპალიტეტში, მდინარე მულხურაზე შპს „აი ჯი ენერჯი“-ს 40.2 მგვტ დადგმული სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურის „მულხურა ჰესი“-ს მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში - ერთი ეგზემპლარი ნაბეჭდი ვერსია;
- გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის არატექნიკური რეზიუმე - ერთი ეგზემპლარი ნაბეჭდი ვერსია;
- საპროექტო ჰესის ნაგებობის განთავსების ტერიტორიის სიტუაციური სქემა - ერთი ეგზემპლარი ნაბეჭდი ვერსია;
- ჰესის მშენებლობის პროცესში ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტი - ორი ეგზემპლარი ნაბეჭდი ვერსია;
- დოკუმენტაციის ელექტრონული ვერსიები და პროექტის გავლენის ზონაში ტერიტორიების GIS კოორდინატები shp ფაილების სახით -CD დისკზე.

პატივისცემით,

ეკა სტურუა

შპს „აი ჯი ენერჯი“-ს დირექტორი

